საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/8/21 **27-01-2021**

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „შ“ ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 76-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და „გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 16 თებერვლის №41/3 ბრძანებით დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულების“ მე-7 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მამუკა მდინარაძის 2021 წლის 26 იანვრის №2-691/21 წერილისა და საქართველოს პარლამენტის წევრის ფრიდონ ინჯიას 2021 წლის 25 იანვრის №2-618/21 წერილის საფუძველზე:

1. განისაზღვროს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრთა რაოდენობა 21 პარლამენტის წევრით, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის წევრთა პროცენტული რაოდენობის პროპორციულად: 11 წევრი – საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი პარლამენტის წევრებისაგან, ხოლო 10 წევრი – საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი პარლამენტის წევრებისაგან.

2. დამტკიცდეს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ა) კახაბერ კუჭავა – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) მაია ბითაძე – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე;

გ) მაკა ბოჭორიშვილი – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) ნინო წილოსანი – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ე) გიორგი ხელაშვილი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ვ) ხატია წილოსანი – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ზ) ირაკლი ზარქუა – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

თ) მარიამ ლაშხი – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

ი) თამარ ტალიაშვილი – საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

კ) გივი მიქანაძე – საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ლ) რამინა ბერაძე – საქართველოს პარლამენტის წევრი;

მ) ფრიდონ ინჯია – საქართველოს პარლამენტის წევრი.

3. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეობა დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს – კახაბერ კუჭავას.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 6 იანვრის №2/3 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე